ერევნის კომუნიკე

ჩვენ, მინისტრები, შეკრებილნი 2015 წლის 14-15 მაისს ერევანში, სიამაყით ვაცხადებთ, რომ ხედვამ, რომლითაც შთაგონებულნი იყვნენ ჩვენი წინამორბედნი, ბოლონიაში წარმოშვა ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე, სადაც განსხვავებული პოლიტიკური, კულტურული და აკადემიური ტრადიციების მქონე 47 ქვეყანა ერთმანეთთან თანამშრომლობს ღია დიალოგის, გაზიარებული მიზნებისა და საერთო ვალდებულებების საფუძველზე. ჩვენ ერთად ვართ ჩართულნი ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემების ნებაყოფლობითი კონვერგენციისა და კოორდინირებული რეფორმის პროცესში. ეს ეფუძნება უმაღლესი განათლების, აკადემიური თავისუფლების, ინსტიტუციური ავტონომიისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ერთგულებისადმი საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას. ასევე, ემყარება ძლიერ სახელმწიფო დაფინანსებას, ხარისხის უზრუნველყოფისა და აღიარების პრინციპებისა და პროცესების გაზიარებულ შეხედულებებს და საერთო ინსტრუმენტებს და ხორციელდება საერთო ხარისხის სტრუქტურის მეშვეობით.

ბოლონიის რეფორმის წყალობით, გაიზარდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მობილობის შესაძლებლობები ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში მათი კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდის აღიარების გზით. საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულებს უზრუნველყოფს ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, რათა მათ სწავლა გააგრძელონ ან შეუერთდნენ ევროპულ შრომის ბაზარს. საგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო და უფრო აქტიურდებიან საერთაშორისო კონტექსტში, ხოლო პროფესორ-მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთობლივ პედაგოგიურ და კვლევით პროგრამებში. ევროპულმა უმაღლესი განათლების სივრცემ დაიწყო დიალოგი მსოფლიოს სხვა რეგიონებთან. იგი მიჩნეულია სტრუქტურირებული თანამშრომლობის მოდელად.

მიუხედავად ამისა, სტრუქტურული რეფორმების იმპლემენტაცია არათანაბარია და ინსტრუმენტები ზოგჯერ გამოიყენება არასწორად ან ბიუროკრატიული და ზედაპირული გზებით. ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სრული პოტენციალის მისაღწევად აუცილებელია ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემების მუდმივი გაუმჯობესება და აკადემიური საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობა. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ შევასრულოთ სამუშაო და ვაღიარებთ თანამშრომლობისათვის ახალი სტიმულის მიცემის საჭიროებას.

დღეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. იგი უპირისპირდება უწყვეტ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, უმუშევრობის დრამატულ დონეებს, ახალგაზრდების უფრო მეტ მარგინალიზაციას, დემოგრაფიულ ცვლილებებს, მიგრაციის ახალ თავისებურებებს და ქვეყნებს შიგნით და ქვეყნებს შორის კონფლიქტებს, ასევე, ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციას. მეორე მხრივ, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაზრდილი მობილობა ხელს უწყობს ორმხრივ

ურთიერთგაგებას, მაშინ, როდესაც ცოდნისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება გავლენას ახდენს საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, და უფრო და უფრო მზარდი მნიშვნელობის როლს ასრულებს უმაღლესი განათლებისა და კვლევის ტრანსფორმაციაში.

ევროპული უმაღლესი განათლების სივრცემ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ გამოწვევების გადასაჭრელად და მაქსიმალურად გაზარდოს შესაძლებლობები ევროპული თანამშრომლობისა და გაცვლის გზით, საერთო მიზნებისკენ სწრაფვითა და მსოფლიო მასშტაბის პარტნიორებთან დიალოგით. ჩვენ უნდა განვაახლოთ თავდაპირველი ხედვა და განვამტკიცოთ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სტრუქტურა

განახლებული ხედვა: ჩვენი პრიორიტეტები

მიზნად ვისახავთ, 2020 წლისათვის მივაღწიოთ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეს, სადაც ჩვენი საერთო მიზნები ყველა წევრ ქვეყანაში ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთმანეთის უმაღლესი განათლების სისტემების მიმართ ნდობა; სივრცეს, სადაც კვალიფიკაციათა ავტომატური აღიარება რეალობადაა ქცეული ისე, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება; სადაც დემოკრატიულ ღირებულებებსა და ადამიანის უფლებებზე დამყარებულ უმაღლეს განათლებას ეფექტური წვლილი შეაქვს ინკლუზიური საზოგადოებების შექმნაში; და სადაც საგანმანათლებლო შესაძლებლობები უზრუნველყოფს იმ კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას, რომლებიც საჭიროა ევროპული მოქალაქეობის, ინოვაციებისა და დასაქმებისათვის. ჩვენ მხარს დავუჭერთ და დავიცავთ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მათი აკადემიური თავისუფლების უფლების გამოყენებაში და უზრუნველვყოფთ მათ, როგორც სრულუფლებიანი პარტნიორების, წარმომადგენლობას ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობაში. ჩვენ მხარს დავუჭერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გააუმჯობესონ თავიანთი მცდელობა, ხელი შეუწყონ ინტერკულტურულ ურთიერთგაგებას, კრიტიკულ აზროვნებას, პოლიტიკურ და რელიგიურ ტოლერანტობას, გენდერულ თანასწორობას, დემოკრატიულ და სამოქალაქო ღირებულებებს ევროპული და მსოფლიო მოქალაქეობის გასაძლიერებლად და, მხარს დავუჭერთ ინკლუზიური საზოგადოებების დაფუძნებას. ჩვენ ასევე გავაძლიერებთ კავშირებს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცესა და კვლევის ევროპულ სივრცეს შორის.

მომავალ წლებში ჩვენი ერთობლივი ამბიციაა მივსდიოთ ამ თანაბრად მნიშვნელოვან მიზნებს ახალ კონტექსტში:

სწავლებისა და სწავლის ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მთავარ მისიას. ჩვენ წავახალისებთ და მხარს დავუჭერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და აკადემიურ პერსონალს, რათა სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში განავითარონ პედაგოგიური ინოვაციები და სწავლა და სწავლება-სწავლისათვის სრულად გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიების

პოტენციური სარგებელი. ჩვენ ხელს შევუწყობთ, რომ სწავლების ყველა დონეზე უფრო მჭიდრო კავშირი იყოს სწავლას, სწავლებასა და კვლევას შორის და შევქმნით წახალისების მექანიზმებს დაწესებულებების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის იმ აქტივობათა გასაძლიერებლად, რომლებიც ავითარებენ კრეატიულობას, ინოვაციასა და მეწარმეობას. სასწავლო პროგრამები ეფექტური სასწავლო აქტივობების მეშვეობით სტუდენტებს საშუალებას უნდა აძლევდეს, განავითარონ ის კომპეტენციები, რომლებიც საუკეთესოდ აკმაყოფილებენ პირად მისწრაფებებსა და საზოგადოებრივ საჭიროებებს. ამას ხელი უნდა შეეწყოს სწავლების შედეგებისა და სამუშაოს გამჭვირვალე აღწერით, მოქნილი სწავლების გზებითა და სწავლებისა და შედეგების შესაბამისი მეთოდებით. აუცილებელია, ხარისხიანი სწავლების აღიარება და მხარდაჭერა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციების გასაუმჯობესებლად. უფრო მეტიც, ჩვენ აქტიურად ჩავრთავთ სტუდენტებს, როგორც აკადემიური საზოგადოების სრულუფლებიან წევრებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს კურიკულუმის დიზაინისა და ხარისხის უზრუნველყოფაში.

- **კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ხელშეწყობა მათი შრომითი ცხოვრების განმავლობაში** სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიური განვითარებით, ახალი სამუშაო პროფილების წარმოშობით, დასაქმებისა და თვითდასაქმების მზარდი შესაძლებლობებით, წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მთავარ მიზანს. უნდა უზრუნველვყოთ, რომ თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის დასრულებისას კურსდამთავრებულები ფლობდნენ შრომის ბაზარზე შესასვლელად შესაბამის კომპეტენციებს, რაც მათ ასევე იმ ახალი კომპეტენციების განვითარების საშუალებას მისცემს, რომლებიც შეიძლება დასჭირდეთ შემდგომი დასაქმებულობისათვის შრომითი ცხოვრების განმავლობაში. ჩვენ ხელს შევუწყობთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მრავალფეროვანი მეთოდების მოძიებაში ამ მიზნების მისაღწევად, მაგალითად, დამსაქმებლებთან მათი დიალოგის გაძლიერებით, ისეთი პროგრამების განხორციელებით, რომლებშიც კარგადაა დაბალანსებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები, სტუდენტებში მეწარმეობისა და ინოვაციების უნარების ხელშეწყობითა და კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის განვითარებაზე თვალყურის მიდევნებით. ჩვენ ხელს შევუწყობთ საერთაშორისო მობილობას სწავლებისა და სტაჟირებისათვის, როგორც მძლავრ საშუალებას კომპეტენციების დიაპაზონისა და სტუდენტებისათვის სამუშაო შესაძლებლობების გასაფართოვებლად.

- **სისტემების ინკლუზიურობის უზრუნველყოფა** არის მნიშვნელოვანი მიზანი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცისათვის, რადგან ჩვენი მოსახლეობა უფრო და უფრო დივერსიფიცირებული ხდება ემიგრაციისა და დემოგრაფიული ცვლილებების გამო. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, რომ გავაფართოვოთ ჩართულობა

უმაღლეს განათლებაში და მხარი დავუჭიროთ დაწესებულებებს, რომ უზრუნველყონ რელევანტური სასწავლო აქტივობები შესაბამის კონტექსტში სხვადასხვა ტიპის მსწავლელთათვის, ,,სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში" გათვალისწინებით. ჩვენ გავაუმჯობესებთ შეღწევადობასა და კომუნიკაციას განათლების სხვადასხვა სექტორს შორის. ჩვენ გავაუმჯობესებთ უმაღლესი განათლების სოციალურ განზომილებას, გენდერულ ბალანსს და გავაფართოვებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და სწავლის დასრულების შესაძლებლობებს, საერთაშორისო მობილობის გათვალისწინებით, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის. ჩვენ უზრუნველვყოფთ მობილობის შესაძლებლობებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის კონფლიქტის ზონებიდან, ამავე დროს ვიმუშავებთ, რომ შესაძლებელი იყოს მათთვის სახლებში დაბრუნება, როდესაც შესაბამისი პირობები შეიქმნება. ჩვენ ვითვალისწინებთ მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების როლს მომავალი ევროპელი თაობის განათლებაში და გვსურს, ხელი შევუწყოთ მათ მობილობას.

- **შეთანხმებული სტრუქტურული რეფორმების განხორციელება** წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კონსოლიდაციის პრერეკვიზიტს გრძელვადიან პერსპექტივაში მისი წარმატებისათვის. საერთო ხარისხის სტრუქტურა და კრედიტების სისტემა, საერთო ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, თანამშრომლობა მობილობასა, ერთობლივ პროგრამებსა და ხარისხზე არის ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის საფუძველი. ჩვენ გავავითარებთ საზღვარგარეთ მიღებული კრედიტების უფრო ეფექტური აღიარების, აკადემიური და პროფესიული მიზნებისათვის კვალიფიკაციებისა და წინმსწრები განათლების პოლიტიკას. შეთანხმებული რეფორმების სრული და თანმიმდევრული განხორციელება ეროვნულ დონეზე საჭიროებს გაზიარებულ მფლობელობას და გადაწყვეტილების მიმღებებისა და აკადემიური საზოგადოების პასუხისმგებლობას და დაინტერესებული პირების უფრო ძლიერ ჩართულობას. პროცესის განუხორციელებლობა ზოგიერთ ქვეყანაში აზიანებს მთელი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ფუნქციონირებასა და სანდოობას. საჭიროა, საქმიანობის შესრულების, როგორც წევრი ქვეყნების ანგარიშგების საფუძვლის, უფრო ზუსტი შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა. პოლიტიკის დიალოგისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მეშვეობით ჩვენ მიზანმიმართულად მხარს ვუჭერთ იმ წევრ ქვეყნებს, რომლებიც შეთანხმებული მიზნების განხორციელებაში აწყდებიან სირთულეებს და ხელს შევუწყობთ მათ, ვისაც სურს რეფორმების განხორციელების პროცესის შემდგომი გაგრძელება.

- **ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მმართველობა და სამუშაო მეთოდები უნდა განვითარდეს ამ გამოწვევების გადასაჭრელად.** ჩვენ ვთხოვთ ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფს, რომ განიხილოს და გააუმჯობესოს თავისი

მმართველობა და სამუშაო მეთოდები, ჩართოს უმაღლესი განათლების პრაქტიკოსები სამუშაო პროგრამაში და მთავარი ვალდებულებების განუხორციელებლობის საკითხის გადასაჭრელად დროულად წარმოადგინოს წინადადებები ჩვენი შემდეგი შეხვედრისათვის.

ჩვენ მადლიერებით ვიღებთ საფრანგეთის ვალდებულებას, უმასპინძლოს ჩვენს შემდგომ შეხვედრას 2018 წელს და უზრუნველყოს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სამდივნოს ფუნქციონირება 2015 წლის ივლისიდან 2018 წლის ივნისამდე.

მინისტრები მიესალმებიან ბელარუსის განაცხადს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი მის მისწრაფებას რეფორმების განხორციელების მხრივ, რომ ბოლონიის პროცესის დაწყებიდან 16 წლის შემდეგ, ბელარუსის უმაღლესი განათლების სისტემა და პრაქტიკა გახდეს თავსებადი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემებსა და პრაქტიკასთან. ამის საფუძველზე მინისტრები მიესალმებიან ბელარუსს როგორც ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის წევრს და მოუთმენლად ელიან ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას, რომ ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული რეფორმები განხორციელდეს, რაც ასახულია ბელარუსის გაწევრიანების შესახებ სამოქმედო გეგმის დანართში. მინისტრები სთხოვენ ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფს, მოახსენონ სამოქმედო გეგმის დროული განხორციელების შესახებ 2018 წლის მინისტერიალის კონფერენციაზე.

საბოლოოდ, განხორციელების, სტრუქტურული რეფორმების, მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის, სოციალური განზომილებისა და ,,სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში,“ ასევე ავტომატური აღიარების სამუშაო ჯგუფების ანგარიშების დამტკიცებით, ჩვენ მხედველობაში ვიღებთ განსახორციელებელ საკითხებს. ჩვენ ვიღებთ პოლიტიკის ზომებს, რომლებიც მოცემულია დანართში და ვიყენებთ ამ შესაძლებლობას, ხაზი გავუსვათ ყველა წევრისა და საკონსულტაციო წევრის მნიშვნელობას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის საქმიანობასა და წვლილი შეაქვთ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სამუშაო პროგრამის განხორციელებაში.

დანართი

I. პოლიტიკის ზომების მიღება

- განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში;
- ერთობლივი მიდგომა ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის;
- განახლებული ECTS მომხმარებელთა სახელმძღვანელო პრინციპები, როგორც ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ოფიციალური დოკუმენტი.

II. ვალდებულებები

- ევროპული უმაღლესი განათლების ჩარჩოს კვალიფიკაციების ჩარჩოში შეტანილ იქნეს მოკლე ციკლის კვალიფიკაციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება დუბლინის დესკრიპტორებზე მოკლე ციკლის კვალიფიკაციებისათვის და ხარისხის უზრუნველყოფა შესაბამისობაში იქნება ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, რომ უზრუნველყოფილი იყოს განათლების სისტემებში მოკლე ციკლის კვალიფიკაციების აღიარება, ასევე იმ შემთხვევებში, სადაც არ არის მოცემული ასეთი კვალიფიკაციები;
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ კომპეტენციების შესახებ მოთხოვნები საზოგადოებრივი დასაქმებისათვის იძლეოდეს სამართლიანი ხელმისაწვდომობის საშუალებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის მფლობელთათვის და წაახალისონ დამსაქმებლები, სათანადოდ გამოიყენონ უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაციის, მათ შორის, პირველი საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირები;
- უზრუნველყოფილ იქნეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და პროგრესის შესახებ სანდო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება

დაწესებულების ლიდერების, პოტენციური სტუდენტების, მათი მშობლებისა და ზოგადად, საზოგადოებისათვის;

- გადასინჯულ იქნეს ეროვნული კანონმდებლობა ლისაბონის აღიარების კონვენციასთან სრული თავსებადობის დადგენის მიზნით, ბოლონიის სამდივნოსთან ანგარიშგებით 2016 წლის ბოლოს, და ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი სთხოვს კონვენციის კომიტეტს, ENIC NARIC-ის ქსელთან თანამშრომლობით, მოამზადოს ანგარიშების ანალიზი 2017 წლის ბოლოსათვის, კონვენციის კომიტეტის მიერ განხორციელებული კონვენციის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით;

- გადასინჯულ იქნეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები და გათვალისწინებულ იქნეს, რომ სწავლების გზები ჩარჩოში ადეკვატურადაა მოწოდებული წინმსწრები განათლების აღიარების ხელშეწყობის მიზნით; დაარსებულ იქნეს მოხალისე ქვეყნებისა და ორგანიზაციების ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ აღიარებას;

- ხელშეწყობილ იქნეს აკადემიური პერსონალის მობილობა ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით;

- გახდეს ჩვენი უმაღლესი განათლება სოციალურად უფრო მეტად ინკლუზიური ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სოციალური განზომილების სტრატეგიის განხორციელების მეშვეობით;

- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სხვა ქვეყნების კვალიფიკაციები ავტომატურად იყოს აღიარებული იმავე დონეზე, როგორც შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციები; ხელი შეუწყონ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გამოიყენონ უმაღლესი განათლებისათვის ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში (EQAR) დარეგისტრირებული სააგენტო მათი ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესისათვის, პატივი სცენ ეროვნულ შეთანხმებას ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.